საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის

ბრძანება №107/ნ

2020 წლის 19 ოქტომბერი

ქ. თბილისი

„ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებაში (www.matsne.gov.ge; სარეგისტრაციო კოდი: 430010000.22.022.017693, 12/04/2019) და ბრძანების 1^1 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^1 პუნქტი:

„1^1. თვითშეფასების ანგარიშის ცენტრში წარმოდგენის ვალდებულება არ ვრცელდება:

ა) იმ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებსა და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით, რომლებსაც აკრედიტაცია/პირობითი აკრედიტაცია მინიჭებული აქვთ ,,ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორის“ მიხედვით;

ბ) იმ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებსა და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით, რომლებზეც ამ ბრძანების №3 დანართით გათვალისწინებულ თვითშეფასების ანგარიშის წარდგენის ვადებამდე ან/და ამ ვადების პერიოდში ცენტრში წარდგენილი ექნებათ სააკრედიტაციო განაცხადი.“;

მუხლი 2

„ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანების პირველი მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანართი №3 ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.

მუხლი 3

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლების,
მეცნიერების, კულტურისა და **მიხეილ ჩხენკელი**
სპორტის მინისტრი